№ 187 17 ენკენისთვე, ქვირა 1866—1878 17 ენკენისთვე, ქვირა № 187

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирагловъ სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирагловъ სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Въ редакцію газ. „Дроэба". Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: თვალ ნ წლიხა—8 მან., ნ. ხუთვარ წლიხა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ოთშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდ ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზე"

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი. პირველი აგვისტოდამ წლის დამლევამდინ—4 მან.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирагловъ სახლებში, № 8). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".*

საქართველო

უფლების წარიდამ გამოსვლა

მოგეხსენებათ, რომ გასული ორშაბათისათვის დანიშნულიიყო სხდომა ქალაქის რჩევისა, რომელსაც, სხვათა შორის, უნდა მოელაპარაკნა იმ ხარჯზედ, რომელიც უნდა ეიღო ქალაქს ბრძოლის ველიდამ დაბრუნებული ჯარის დასახვედრად და გასამასპინძლებლად.

ისიც მოგეხსენებათ, რომ ორშაბათს კრება არ შესდგა, რადგან მხოლოდ 17 ხმოვანი მოვიდა.

მაგრამ ამ გარემოებას არ დაუბრკოლებია თავი ქალაქისა და ზოგიერთი ხმოვანი, რომელნიც ორშაბათს მისულან გამგეობაში: ამათ გადაუწყვეტიათ ამოირჩიონ რამოდენიმე პირი მოსასვლელ ჯარების მისაგებებლად, და იმათ გამასპინძლებისათვის დახარჯონ, რამდენიც დასჭირდებათ ფული ქალაქის ხაზინიდამ.

რასაკვირველია, საჭიროა და რიგია, რომ როგორც სხვა ქალაქები, ისე ჩვენი თფილისიც დაუხვდეს და გაუმასპინძლდეს იმ ჯარს, რომელმანც ამ გასულ ომში ამდენი წვალება, შრომა და განსაცდელი გამოიარა მტრის მოსაგერებელად; რიგია, რომ ხალხმა მადლობისა და თანა გრძნობის ნიშნათ მიეგებოს, გაუმასპინძლდეს, პატივი სცეს ამ ჯარს.

ყველა ეს რიგია, საჭიროა. მაგრამ ყველაფერს თავის წესი და საფუძველი უნდა ჰქონდეს. საქალაქო წესდებულება თხოულობს, რომ ყველა გადაწყვეტილებისათვის, რომბლიც ქალაქის ხაზინას შეეხება ხმოვანთ მომეტებული ნაწილი უნდა იყოს. მაშასადამე 72 წევრში 37 მაინც უნდა ყოფილიყო და ამათ უნდა გადაეწყვიტათ—თუ რამდენი ფული დაეხარჯათ ქალაქის ხაზინიდამ ხსენებული ჯარების მისაგებებლად. ამ შემთხვევაში უფ. ქალაქის თავის მოადგილე გადავიდა კანონს: მხოლოთ რამდენიმე წევრის გადაწყვეტილებით შეეხოის საქალაქო ხაზინას.

ეს ძალიან ცუდი მაგალითია შემდეგისათვის; დღეს, ესთქვათ, კარგს აუცილებელს საქმეზედ იხარჯება ფული, და არც ბევრი დაიხარჯება. მაგრამ ვინ დაგვარწმუნებს, რომ ხვალ არ შეუძლიანთ აგრეთვე თავის მოყრა რამდენსამე პირთ-ხთოვანთ და გადაწყვეტა, რომელსამე ფუჭ, უსარგებლო საგანზე დახარჯვა ქალაქის ხაზინისა? ერთხელ თუ მოახდინეს, რატომ მეორეთაც არ შეუძლიან უარესი ჩაიდინონ.

ბანა უამისობა არ შეიძლებოდა? ქალაქის რჩევა ორშაბათს უნდა შეკრებილიყო, მაგრამ ვერ შეიკრიბა. ჯარები კი მესამე დღეს, ე. ი. ოთხშაბათს უნდა მოსულიყვნენ. ბანა არ შეიძლებოდა, რომ ქალაქის თავის მოადგილეს მეორე დღისთვის დაენიშნა უჩვეულებრივი (ექსტენნი) კრება და ამასთანავე ეცნობებინა ხმოვანებისათვის—თუ რა აუცილებელ საგანზედ უნდა ყოფილიყო სჯა? ბანა არ შეიძლებოდა, რომ მხოლოთ მაშინ ეკისრნათ ქალაქის თავის მოდგილეს და დამსწრე ხმოვანთ ის ხარჯი, რომელიც ამ საგნისათვის საჭირო იყო, როდესაც აღარც მეორე დღეს მოვიდოდა კანონიერი რიცხვი ხმოვანებისა?

ძალიან კარგათ შეიძლებოდა, და

ფელეტონი

გაქვრითი შენიშვნები

(წერილი Артаанидам)

პირველი საათი იქნებოდა, როდესაც ჩვენმა ფოთი-თფილისის ორ წითელთვალიანმა ვეშაპმა დიდის გრიალით და ჰაერის პობით მომაქროლა ხაშურში, საიდამაც, რადგანაც ძალიან მეჩქარებოდა, იმ ღამესვე გავკარი Артаанисკენ.

იყო საშინელი ბნელი ღამე ასე, რომ, როგორც მდაბიურად იტყვიან, თითი რო თვალში წაგეკრა, ვერას გაიგებდი, მაგრამ წყნარი და ძყუდრო-კი.

მრთლად ბუნება ციცვა ღამის მეუფე ძილსა და ყველგან სუფევდა სასიამოვნო სიმშვიდე და სიწყნარე; მხოლოდ მოისმოდა ტროიკის ზარების ერთგვარი „წიკ, წიკ" და ხმა შფოთიანი მტკვრისა, რომელიც—როგორც ლომი შაბაში—ისე იბრძოდა თავის მაღალ კლდიან კიდეებში და არ აძლევდა მოსვენებას არე-მარეს, რომელიც ძალა-უნებურად იმეორებდა ამის ხუილს.

როდესაც ირაკრაკა, მე ბორჯომს გამოცილებული ვიყავ და ამის გამო ვერა ენახე მშვენიერი ბორჯომის ხეობა და მისი დიდებული ქალწულებრივი ტყე.

ცხოველ მყოფელმა მზემ რომ მოჰფინა მთის წვერებს თვისი ოქროვანი სხივები, მე ვიყავ სოფელ აწყურში, სადაც სცხოვრებენ გამაჰმადიანებული ქართველები. ცოტა ხანს მივიარ-მოვიარე ქუჩებში; შემხვდა მრავალი აქაური მცხოვრები; ცნობის მოყვარეობამ დამძლია და ზოგიერთა ამათგანს დაეუწყე ბაასი, მაგრამ ამათ როგორლაც იჭვნეულად მიიღეს ყველა ჩემი კითხვა და ამის გამო მათგან ვერავითარი სანუკარი ცნობები ვერ შეეკრიბე. ეს კი შევნიშნე, რომ აქაური მცხოვრებნი, რომელნიც თათრებათ იწოდებიან, ქართულს ყველანი კარგათ ლაპარაკობენ.

შუადღე იქნებოდა, როდესაც ახალციხეში მოველი. რადგანაც მე პირველად ენახე ახალციხე, ამისათვის აგიწერთ რამოდენიმე სიტყვით.

ახალციხეს მდინარე ფოცხოვი ჰყოფს ორ ნაწილად: ძველ და ახალ ქალაქად. ამ ნაწილებს აერთებს ერთმანეთში ფოცხოვზე დადებული გრძელი ხის ხიდი.

ძველი ნაწილი ახალციხისა მდებიარობს აღმოსავლეთისკენ ერთ მაღლობ ხრიკზე, რომელზედაც ძველთაგანვე დასახლებულნი არიან ქართველები და მათშორის ურიებიც. აქვე ერთ მაღლობზე, რომელიც ფოცხოვს გადმოსცქერის, მდებიარობს ახალ-ციხის ციხე.

ახალს ნაწილს შეადგენს დასავლეთი, სადაც უმეტეს ნაწილად სახლობენ პასკევიჩის დროს არზრუმიდამ გადმოსახლებული სომხები. როგორც მდებიარო-

ჩვენ გვაკვირვებს, რომ ქალაქის თავის მოადგილე ასე მოიქცა.

ვიმეორებთ, ხარჯი ყოველს შემთხვევაში აუცილებელი ხარჯი იყო ქალაქისათვის; მაგრამ შესაძლებელი იყო, რომ კანონიერად და წესიერად დაეხარჯათ ქალაქის ფულები და არ მოქცეულიყვნენ ისე, რომ ამ გვარ შემთხვევის გამეორებას შემდეგში ქალაქის ხაზინის დალუპვა შეეძლებოდეს.

ს. მ.

დღიური

** დღეს, შაბათს, ქალაქი გაუმასპინძლდება ალექსანდროვის ბაღში ახლად ბრძოლის ველიდამ დაბრუნებულს თფილისის პოლკს. ხვალ, კვირას, ამ ნაირივე მასპინძლობა იქნება სამეგრელოს პოლკისათვის. სულ, როგორც ამბობენ, ექვსი ათასი კაცისათვის იქნება სადილი გამართული.

** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ თვის 25-ს ქართული სცენის მოყვარეთაგან გამართული იქნება წარმოდგენა, რომელზედაც ანტრაქტებში, როგორც ამბობენ, უფ. მ. მაჭავარიანის თაოსნობით, ხორი იმღერებს ზოგიერთს ახლად-ნოტებზე გადაღებულს ქართულ სიმღერებს.

** „ივერიის“ უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია ქუთაისიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი აგვიწერს ოსმალოს დელეგატების იქ ყოფნას და იმ სალამოს, რომელიც იმათთვის გაუმართავთ იქაურს კლუბში.

ამ კორრესპონდენციაში, სხვათა შორის, შემდეგი ალაგია:

„მირალაი ალი-ბეგმა, სხვათა შორის ამ სალამოზე უთხრა ერთს ადამიანს:

„...როდესაც ჩვენ ციხის-ძირის გასამაგრებლად ვჰთხრიდით სანგრებს, რამოდენიმე ალაგას, სადაც უფრო ღრმად დაგვირჩა ნათხარი, ვნახეთ ქართველებისაგან უძველეს დროებში მაგარი ქვითკირის კუბოთი ჩამარხული მცხედრები, რომელთანაც კუბოშივე იდვენ სხვა-დასხვა ნაირი ძვირფასი ნივთეულებანი. უმეცარი მთხრელნი, უფროსების დაუკითხავად, ცდილობდნენ კუბოების ალებას; მაგრამ როდესაც ჰნახეს, რომ იგინი ძალიან მაგრად არიან შეერთებულნი სხვა ნაწილებთან, წერაქვით ამტვრევდნენ, ნივთეულებას მალვიდნენ და გვამებს მტვრად აქცევდნენ...“ „აი ერთი იმ ისტორიული ნაშთთაგანი, რომელიც ძლივს ჩავიგდე ხელში“, და ალი-ბეგმა უჩვენა ძველი ქართული ვერცხლის ფული, რომელზედაც იქ დამსწრეებმა გაარჩიეს მხოლოდ ასო „ა“...

** ამბობენ, ანდრეევსკის მკვლელობის საქმე მალე გაირჩევა ჩვენს სამოსამართლო პალატაშიო.

ჩვენ გვარწმუნებენ, რომ უფ. დავით ჩქოტუასა და იმის ძმის დაცვა თფილისის სამოსამართლო პალატაში რუსეთის გამოჩენილ ადვოკატს უფ. სპასოვიჩს უკისრნია, რომელსაც ამ მოკლე ხანში მოელიან ჩვენს ქალაქშიო.

** ამ ამბავთან პატარა კავშირი აქვს ქვემო მოყვანილ ამბავს, რომელიც ერთის რუსეთიდამ ახლად დაბრუნებულის პირისაგან შევიტყეთ:

ამბობენ, ვითომც თ. გიორგი შარვაშიძეს, რომლის სახელი ანდრეევსკის ქალის პროცესში არაერთხელ არის ნახსენები, დაუწერია რუსული კომედია თუ დრამა, სახელად „Человѣкъ преследуемый судьбою“ („ბედისაგან დევნილი კაცი“), რომელიც ავტორს წარუდგენია „მოსკოვის უწყებებისა“ და „რუსის მოამბის“ რედაქტორის უფ. კატკოვისათვის ამ უკანასკნელ ჟურნალში დასაბეჭდათ. უფ. კატკოვმა დასაბეჭდათ ვერ მიიღო თურმე ეს თხზულება, რადგან ავტორს დრამმატიული თხზულებისა და სცენის მოთხოვნილების ცოდნა აკლიაო; მაგრამ ამასთანავე ისიც ეთქვა, რომ, უეჭველია, ამის დამწერი ძლიერ ნიჭიერი და ჭკვიანი კაცი უნდა იყოსო.

ამბობენ ამას გარდა, ვითომ უფ. კატკოვს ეთქვას, რომ ამ თხზულების დამწერი კაცი ბოროტი კაცი არ უნდა იყოსო: ანდრეევსკის ქალის მკვლელობაში იმას მონაწილეობა არ უნდა მიეღოსო...

** იმერეთიდამ გვწერენ შემდეგ შემთხვევას: „სოფ. ოპჩას ერთი ახლგაზრდა ქალი ყელის ტკივილით გამხდარიყო ავათ; ქირის უფლებს კი სახადი ჰგონებოდათ და მოშორებოდნენ, ჩვენც არ გადაგვედვასო და საწყალი ავათმყოფი სრულიად მარტო დაეტოვებინათ სადგომში. ამ დროს ერთი კაცი მისულა ხსენებულ სოფელში და რომ შეუტყვია ეს ამბავი, წასულა ავათმყოფის სანახავად. ისეთ ნაირად მოეჭირა მუწუკს ყელში, რომ ხმას ველარ იღებდა თურმე და ხელით ანიშნა მნახველს, რომ წყალი დამალევინეო. მიუტანეს; ავათმყოფმა მიიდვა ტუჩზე სტაქანი და ისე მაგრად მოუჭირა კბილები, რომ გაამტვრია სტაქანი და იმის ნამტვრევები ძალა-უნებურად გადაყლაპა წყალთანაო. იმ წამსვე მუწუკი გაუსქდა და ავათმყოფმა თავის უფლად ამოისუნთქა და ლაპარაკიც დაიწყოო.

მაგრამ ყოველთვის გამოსადეგი წამალი კი არ გვგონოსთ შუშის ნამტვრევები ყელის ტკივილის დროს...

ბა, რომელზედაც ქართველები სცხოვრობენ, ეგრეთვე შენობებიც რაღაცა მძიმე ალბეჭდილებას ახდენენ კაცზე. შენობები არის შავი კლდის თუ ქალის ქვისა ძველებურ ჰანგზე აშენებული და ძალიან ჩამოგვანან არაგველი და ფშავ-ხევსური მთიულების შენობებს. ამ ნაწილში არავითარი სიცოცხლე და მოძრაობა არა სჩანს; მხოლოდ დილით რომ გაიაროთ, შეხვდებით ეზოებში ჩვენებურად თავ-დახურული და ძველებური ფასონის კაბებით შემოსილს დედაკაცებს, რომელნიც სხედან ხალიჩებზე, გადუყრიათ გვერდზე კავები, ზარმაცათ სვამენ ჩაის, გადასდით შუბლზე ხითქი და ჭორიკაობენ.

ახალი ნაწილი ახალციხისა ვაკე ადგილია; აქ ბევრს შეხვდებით ევროპიულ შენობებს, ბაღებს, სუფთა ეზოებს, ლამაზ ქუჩებს, მაღაზიებს; ერთის სიტყვით ამ ნაწილს ეტყობა, რომ ეს ეკუთვნის მოძრავს სომეხს და არა უზრუნველს და დაუდევნელ ქართველს. აქვე იმყოფება ყველა სასამართლოები, სახალხო ბაღი, რამოდენიმე სომხური შკოლა და სხ.

ამ სომხებმა ქართული ენა უმეტესმა ნაწილმა არ იცის. ტანსაცმელს ზოგი ევროპიულს ხმარობს, ზოგი ევროპიულთან ახალუხებსაც და ზოგს კი მამა-პაპური თათრული ტანისამოსი ჯერაც არ მოუშორებიათ.

ქალები კი ყველანი თათრული ტანისამოსით და თათრულივე თეთრი აბრეშუმის ჩადრებით დაიარებიან და ამის გამო ძალიან მიემგზავსებიან თათრის დედაკაცებს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ესენი პირ-ახდილნი დაიარებიან და დიდრონს გიშერივით შავ თვალებს არ არიდებენ მამა-კაცს.

ახალციხის მცხოვრებლების შინაგან ცხოვრებას და ხასიათს მე ვერ აგიწერთ ამ ჟამათ, რადგანაც მე ვსწერ მხოლოდ გაკვრით შენიშვნებს და რადგანაც ცოტა ხნობით დარჩენის გამო არ მომეცა შემთხვევა კარგათ დავკვირებოდი აქაურობას ამ მხრითაც.

სადილის შემდეგ შევსხედით ჩარვადრის ცხენებზედ მე და ერთი ახალციხელი სომეხი, სახელად ლაზარე, რომელიც შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილთან მოდიოდა არტაანში მზარეულად, შეუდექით დასავლეთის მხრივ ერთს მაღალ მთას და ნელა-ნელა ტატიაობით ბინდზე მივადექით იმ წვერს, რომელიც აქამდინ იყო სამზღვარი ჩვენ და ოსმალეთ შუა. ამ ჟამათ აქ აქა-იქ მოჩანან თათრების სამწყემსო და საზაფხულო შენობები და ხუხულები ჩვენი ყაზახებისა, რომელთაც ცხენები ჰყავთ აქ გაშვებული საკვებად. რასაკვირველია, უკეთესს უშიშო ადგილს ვერა ვნახავდით ღამის გასატარებლად და ამის გამო გადავსწყვიტეთ ამ ყაზახებთან დარჩენა.

საშინელი ცივი ღამე იყო, ასე რომ

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

როგორც ამას წინათაც იყო ჩვენს გაზეთში გამოცხადებული, ძიატოვეს თუ არა რუსებმა არზრუმი, იქაურ ოსმალებმა და ქურთებმა, ადგილობრივი ქრისტიანების (სომხების) შევიწროება დაიწყეს; ამბობენ, იმათი სახლები გაცარცვეს და რამდენიმე კაციც მოჰკლესო.

ამის გამო არზრუმის სომხის არხიეპისკოპოსმა, აგრეთვე ადგილობრივ ეპისკოპოსებმა და სტამბოლის პატრიარქმა შესჩივლეს ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის კონსულებს, რომ ასე შეწუხებული ვართ და გვიშველეთო. ელჩებმა ეს ამბავი იმწამსვე ოსმალეთის მთავარ ვეზირს საფეტ-ფაშას აცნობეს და ამის განკარგულებით სტამბოლიდამ გამოიგზავნა ოსმალეთის კამისარი, რომელსაც მინდობილი აქვს, თვალ-ყური დაჭიროს, რომ არზრუმის, მუშისა და ვანის ქრისტიანები არავინ შეაწუხოს.

— მოგეხსენებათ, რომ ინგლისმა წარუდგინა ოსმალეთის მთავრობას პროექტი რეფორმებისა, რომელიც პორტამ მცირე აზიაში უნდა შემოიღოს. გაზეთებში იწერებიან, რომ პორტა დათანხმდა ამ რეფორმების შემოღებაზედაო, და არა თუ მარტო მცირე აზიაში, მთელი ოსმალეთის გამგეობაშიაც აპირებს სხვა-და-სხვა ცვლილებების შემოღებასაო, მაგრამ ამისთვის ვადა და საშუალება (ფული) არის საჭიროვო.

— ჩვენი კარგი ნაცნობი ახმედ-მუხთარ-ფაშა, როგორც სტამბოლის გაზეთებში იწერებიან, ამჟამად კანდიის კუნძულის ღუბერნატორად არის დანიშნული და მინდობილი აქვს თავის მთავრობისაგან დაარწმუნოს იქაური აჯანყებული ხალხი, რომ, თუ სრულიად დამშვიდდებიან, მთავრობა შემოიღებს იმათ ქვეყანაში ნამდვილ რეფორმებსა და ეცდება ხალხის კეთილდღეობის დამკვიდრებას.

ინგლისი

ერთს იტალიურს გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

„ინგლისმა და ოსმალეთმა შეჰკრეს ერთმანეთში ახალი პირობა, რომლის ძალითაც ეგვიპტე უნდა იქნეს ინგლისის მზრუნველობის ქვეშ; ინგლისი მისცემს ეგვიპტეს ქედივს კარგ წლიურ ჯამაგირს და ეგვიპტეს ფინანსების გამგეობა კი მინდობილი ექნება ინგლისელებისა და ფრანცუზებისაგან შემდგარს განსაკუთრებულ კომისიას.

„ამბობენ, რომ საფრანგეთის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრი უფ. ვადინგტონი წინააღმდეგი იყო ამ პროექტისაო, მაგრამ, როდესაც ინგლისმა მისცა წინადადება საფრანგეთს, რომ იმან თავის მხრით ტუნისი დაიჭიროს, მაშინ კი დათანხმდაო.

საბერძნეთი

„ათინის მოამბეში“ იწერებიან, რომ იქაურს ინგლისის ელჩთან მისულან ეპირიდამ და თესსალიიდამ გამოქცეული ბერძნები და უთხოვნიათ, რომ ინგლისის კოროლევამ მიიღოს მონაწილეობა იმათ ხვედრში და იძულებული ჰყოს ხონთქარი, რომ, ბერლინის ტრაქტატის გარდაწყვეტილების თანახმად, გაათავისუფლოს იმან ეპირი და თესალიი. ელჩმა თავის მხრით მისცა ამ ხალხს წინადადება, რომ ინგლისის ოსმალეთ ელჩს ლეიარდს მიმართონ; მაგრამ იმათ არ მოიქცნენ ასე, რადგან წინათვე იცოდნენ — თუ რა პასუხსაც მიიღებდნენ ლეიარდისაგან.

ავსტრია

გაზეთს „ბოლოსში“ დაპეჭდილია შემდეგი დეპეშა 6 სექტემბერს მიღებული ბედა-პეშტიდამ:

„ამას წინათ ლაპარაკი იყო, რომ ავსტრო-ვენგრია აპირებს [illegible] სლავიანურ ხალხებთან კავშირის შეკვრასაო და იმათი შემწეობით ბოსნიის აჯანყებულების დამორჩილებას.

„ვენის ოფიციალური გაზეთები ამტკიცებენ, რომ ეს ხმები სულ ტყუილი ხმები არისო: ავსტრო-ვენგრია იმდენათ ძლიერი არისო, რომ სხვა სახელმწიფოების დაუხმარებლადაც მოახერხებს აჯანყებული ბოსნიელების და ჰერცოგოვინელების დამორჩილებასაო.

რუსეთი

„პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ იწერებიან სტამბოლიდამ, რომ ბათუმი ამ ჟამად სრულიად დაცლილია ოსმალოს ჯარისაგან და რუსებმა უკვე დაიჭირეს ეს ქალაქიო; მაგრამ ლაზები მუდამ დღე ჯგუფ-ჯგუფად გადმოდიან ოსმალეთში ამ მაზრიდამაო.

ეს ტყუილი ამბავია ლაზები არ გადადიან, რადგან მომეტებული ნაწილი იმათგანი იმ ოსმალოს საქართველოს მაზრაში დარჩნენ, რომელიც ახლაც ოსმალეთის ხელშია; გადადიან მხოლოთ მოჰაჯირეთლები.

— ერთს რუსულ გაზეთში იწერებიან, რომ ამ ენკენისთვის დამლევს ყველა რუსის ჯარები დაიწვევენ სტამბოლის ახლო-მახლო ადგილებიდამ და ადრიანოპოლში მოვლენო. აია-სტეფანოში ახლა არც ერთი რუსის სალდათი აღარ არის და ეს ადგილები უკვე ოსმალოს ჯარებმა დაიჭირესო.

— გაზეთი „ახალი დროება“ გვაცნობებს, რომ პეტერბურღში ლაპარაკი არის ამ ჟამად იმაზედაო, რომ მოაგროვონ ხალხში ფული ხელის-მოწერითა და ამ ფულით ააგონ ერთი დიდი შენობა, რომელშიაც დააყენონ და არჩინონ ის სალდათები და საზოგადოთ სამხედრო წოდების პირნი, რომელთაც გასულ ომში მიიღეს მონაწილეობა და

ჩემი თანამგზავრი ლაზარე ბევრი აძაგძაგა სასაცილოდ, აწყევლინა თავის შობის დღე და ბევრჯელ ათქმევინა:

— „ასტოაც, ასტოაც!...“

— „დასწყევლოს ღმერთმა — მეუბნებოდა ლაზარე — ეს ჯარის ხალხი კლდისანი ხომ არ არიან, როგორ იტანენ ამისთანა სიცივეებს?... მე სწორეთ გითხრა ერთი თბილი ოთახი ჯვარსაც მირჩევნიან და მთელი ქვეყნის საფუძვლებსაცა!

მრთელი ღამე — როგორც იტყვიან — ლუკლი არ მოსვლია საცოდავს ლაზარეს.

ირაჟრაჟა. ცივი და მსუსხავი, მაგრამ სასიამოვნო დილა იყო; მხოლოდ დაჰქროდა ზოგჯერ წყნარი ნიავი და მთის მაღალ ბალახებს შეაქმნევინებდა ნაზათ ერთმანერთში ჩურჩულს. აგერ მწყემსებმაც გამორეკეს ნახირი, რომელთა დღავილს შორს, სადღაც იმეორებენ ხევები, მოჰფინეს მთის ფერდოებს, თვითონაც ამოიღეს გუდებიდამ თვისი განუყრელი მეგობარი — სალამურები და სასიამოვნოდ დააკივლეს დალოცებულს ხმაზედა... ამათ ხმაზე აიშალა ბალახებში დაბუდებული მწყრები და ტოროლები და შეიქმნა ერთი ხმაურობა და ქლავი-ქლუვი...

ჩვენ შეუდექით გზას.

სასაცილო იყო ლაზარე ყაბალახში შეხვეული. ხელები უბეში და თხუთმეტათ მოკეცილი მაშინასავით იდვა ცხენზედ, კანკალებდა და კბილს-კბილებზედ აცემინებდა.

— ვიშ რა სასიამოვნო დილაა! უთხარ მე. ამან პასუხის მაგივრად კბილი-კბილზე დააცემინა და რაღაც წაიბუტბუტა სომხურად და ისეთი მოძრაობა მოახდინა, რომელიც ნიშნავდა:

„აი გაგაგიჟა შემოქმედმა! ღმერთმა შენ შვილებს და შვილი შვილებს ნუ მოუშალოს ამ გვარი სიამოვნება და მე კი განმარიდოს. მაგ სასიამოვნო დილასაც და ამ სიცივესაც საშვილიშვილოდ!“

უნდა მოგახსენოთ, რომ ისეთს საძაგელ გზაზედ გვატარეს ჩვენმა ჩარვადრებმა, რომ ეს მშვენიერი დილა კი არა, თვითონ ღვთაებრივი ბუნებაც კი დაგვავიწყდებოდა ამისთანა გზებზე.

ნახევარზე მეტი გზა სულ ფეხით გავიარეთ. შევხედავდით ერთ მაღალ მთის წვერს და გვეგონებოდა დასრულდა ჩვენი ტანჯვა, ავიდოდით და იქიდამ დავხედამდით თვალით-ჩაუწვდენელ უფსკრულს, სადაც ჩხმორბოდნენ მთის პატარა წყლები; ჩავიდოდით იქ დიდის ტანჯვით პატარა ბილიკებზე და შემდეგ კიდევ შეუდგებოდით უფრო მაღალ მთას. ჩვენ ლამის ბინდმა თითქმის მთელი დღე სულ ამ გვარ გზაზე ვიარეთ.

ჭია-ჭამია

(გაგრძელება)

ისე დაჭრილი ანუ დაუძლურებული შეიქნენ, რომ თავის რჩენა არ შეუძლიანთ.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 13 სექტემბერს. ინგლისის მმართებლობამ მოახდინა განკარგულება, რომ აფგანისტანის სამზღვარზე საჩქაროთ მოაგროვოს ჯარები და, თუ საჭირო იქნება, ახლავე ომი დაიწყონ.

ვენა, 12 სექტემბერს. „პოლიტიკური კორრესპონდენცია" გვაცნობებს, რომ ღენ. ტოტლებენი, ლობანოვ-როსტოვსკი და საბუროვი დღეს ლივადიაში მიდიან ხელმწიფის სანახავად და ერთის კვირის შემდეგ ისევ უკან დაბრუნდებიანო.

აია-სტეფანოდამ სულ გავიდნენ რუსები და ეს ადგილები ახლა ოსმალოს ჯარებმა დაიჭირეს.

ბერლინი, 12 სექტემბერს. ინგლისის ელჩი ლოფტუსი მოვიდა აქ დღეს ლონდონიდამ.

ბელგრადი, 12 სექტემბერს. 1000 კაცი ბოსნიელი აჯანყებულები გადმოვიდნენ სერბიის სამზღვარზედ.

პეტერბურღი, 14 სექტემბერს. „მმართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც კავკასიის სამხედრო მაზრის შტაბის უფროსის თანაშემწე ღენ.-მაიორი შალიკოვი დაინიშნება კავკასიის არმიის მთავარ სარდლის განკარგულებაში; მე—19 ქვეითა დივიზიის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ტომილოვი კი დაინიშნება ღენ. შალიკოვის ადგილზე.

განცხადებანი

ფოსტის გამგეობა აცხადებს, რომ გასული 16 აგვისტოდამ დაწყებული ახალ-სენაკსა და ზუგდიდს შუა მუდამ დღე ფოსტის ომნიბუსები დაიარება. ახალ-სენაკიდამ მუდამ დღე დილის 8 საათიდამ გადის ომნიბუსი და 1 საათზე და 45 მინუტზე ზუგდიდში მიდის; ზუგდიდიდამ კი გამოდის ნაშუადღევის 2 საათზე და ახალ-სენაკში საღამოს 7 საათზე და 30 მინუტზე შემოდის. (3—2)

ამ წლის 1 ოქტომბრიდამ შემდეგ ქალაქებში თფილისიდამ გასაგზავნ დეპეშებში—20 სიტყვაში—გადახდება, 1 მანეთის მაგიერად, 50 კაპეიკი: თფილისიდამ: აბაზ-თუმანში, ალექსანდრაპოლში, ახალციხეში, ბორჯომში, ვლადიკავკაზში, გროზნაში, ელისავეტპოლში, ეფრემოვკაში, ზაქათალაში, ყარსში, ქედაბეგში, ქუთაისში, ნუხაში, ჩახატაურში, ხასავ-იურტში, ერივანში, ეჩმიაძინში, აჯამეთში, ბექათუბანში, ბელაგორში, ძირულაში, ფოთში და მორალისში. (3—2)

გამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი"

ხუთ-მოქმედებიანი დრამმა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული გრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი"

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნის მაღაზიებში, ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

16-ს აგვისტოდამ გაიხსნა ქ. ქუთაისში

„წიგნის მაღაზია"

სადაც ისყიდება ყოველ-გვარი სახელმძღვანელო წიგნი (учебники), რუსულსა და ქართულს ენაზე. გარდა სახელმძღვანელო წიგნებისა „მაღაზიაში" ისყიდება სხვა ყოველ-გვარი საკითხავი წიგნებიც, აგრეთვე რუსულსა და ქართულს ენაზე.

ამავე მაღაზიაში იმყოფება ქუთაისის განყოფილება კავკასიის სამასწავლებლო უწყების კომმისსიონერის ვართანოვის წიგნის მაღაზიისა. მაღაზია იმყოფება: მიხაილოვის ქუჩაზე, უ. ხარაზოვის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

„დროების" ფოსტა

— ა—ში. ს. ბ—ლს—„მთვარეს" ავტორს. ნუ გეწყინებათ და ძალიან კარგს იქთ, ლექსის წერას რომ თავს დაანებებდეთ. პარნასზე თქვენთვის იუპიტერს ადგილი არ მოუცია. პროზით სწერეთ; თქვენს პროზას ჩვენს გაზეთში ყოველთვის დიდის სიამოვნებით მივსცემთ ადგილს.

— არ—ში. ჭია-ჭამიას. დღეიდამ ვიწყებთ თქვენი საინტერესო წერილების ბეჭდვას. გთხოვთ, შემდეგშიაც ნუ დაგვივიწყებთ. გთხოვთ აგრეთვე ნუ დაივიწყებთ ჩვენი უკვდავი შოთას ლექსს: „გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის" და სხვა.

— ო—შრ. თ. კ. უ—ს ბერლინის ტრაქტატი ჩვენი პატარა გაზეთისათვის ერთობ გრძელია და ამიტომ ვერ ვასრულებთ თქვენს თხოვნას. უმთავრესი მუხლები, ჩვენთვის უფრო საინტერესო, დაბეჭდილი იყო.

— ბათუმში, უფ. ქრაზანას. თქვენი მოთხრობის „ბათუმის ცხოვრებიდამ" დასასრული გამოგზავნეთ. თავი კი გვაქვს, კარგია, მაგრამ სანამ ბოლოს არ მივიღებთ, ვერ ვბეჭდავთ.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი . . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი . . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა . .	1	18	ღამე.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი . .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს . .	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურღს, ვარშავას . . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის კენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პ რასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ლია წიგნის	4
დ ბ ჭდილის (ხ. მი მისხალი) .	8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 15 სექტემბ.		
ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ.	1	65
ფქვილი წითელი . . .	1	40
ქერი ფუთი	1	30
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	50
— ამერიკისა, ფუთი . .	8	50
გაპენტილი ბ მბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთი	8	—
— თარაქამისა ფუთი . .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	—
ქონი, ფუთი	5	50
ქონის სანთელი ფუთი .	8	40
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	20
ხორცი ძროხისა, ლიტ	—	81
— ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	50
— ფხვნილი ფუთი . . .	6	—
ყავა გრგვ ლი, გირვ . .	—	70
ეთი ქუნჯუთისა ფუთი.	14	—
თამბაქო, საშუ ლო ფთ.	12	—

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და გარალევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—საჯარო ექიმი და საშეილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 16 Сентября 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.